№ 76 აპრილი 13, პარასკევი 1890 აპრილი 13, [illegible] № 76


გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 9 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ივერია


გაზეთის [illegible] და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზე.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი ორი კაპეიკი.

1877—1890 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890


## ივერია

გამოვა 1890 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1890 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

### ქართული თეატრი

პარასკევს, 13 აპრილს,
ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

**ბაგრატ IV**

ისტორ. დრამა 4 მოქ., კ. მესხისა.

II

**ადვოკატთან**

ვოდევილი 1 მოქმედ.

მოთამაშენი: ქ-ნნი საფაროვისა, გაბუნია-ცაგარლისა, ავალოვისა; ბ-ნნი აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, ბედქვანოვი და სხვა.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8 საათზე.

---

შაბათს, 14 აპრილს, საღამოს 8 საათზე, კავკასიის იურიდიულ საზოგადოებას კრება ექნება ტფილისის ოლქის სასამართლოს შენობაში.

კრებას შემდეგი საგნები მოხსენდება:

1) სხვა-და-სხვა საადმინისტრაციო საქმეები:

ა) ახალის წევრების ამორჩევა;

ბ) გამოცვლილ წესდების დაბეჭდვა;

გ) საპატიო წევრობის დიპლომს უბოძებენ ვ. ა. ანდრეევს;

დ) საზოგადოების ბიბლიოთეკის ხარჯი და სხვ.

2) ა. ფრენკელის რეფერატი: დ. ზ. ბაქრაძის იურიდიულ მოღვაწეობის შესახებ.

3) პ. მ. ლებედინსკის რეფერატი: ძველ ებრაელთა მიწათ-მფლობელობა.

კრებაზედ არა-წევრთაც შეუძლიანთ დაესწრნენ.

---

გამგე კომიტეტი „ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“ უმორჩილესად სთხოვს წესდების ძალით (§ 7) წევრთა ამ საზოგადოებისა მობრძანდნენ ამ 1889 წლის აპრილის 14, საღამოს 6 საათზედ, საზოგადო კრებაზედ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში.

განსახილველია:

1) დამტკიცება წლიურის ანგარიშისა.

2) დამტკიცება მომავალ $18^{90}/_{91}$ წლის ხარჯისა და

3) არჩევა გამგე კომიტეტის წევრთა.

(3—3)

---

სასწავლებელი და პანსიონი
სტ. გესარ. ჯორჯიკიასი
(ქუთაისში)

ზაფხულშიაც მიიღებს შეგირდებს მოსამზადებლად გიმნაზიებისა, პროგიმნაზიებისა და სხვა სასწავლებლებისათვის. (10—6)

### ახალი ამბავი

⁂ გუშინ, 12 აპრილს, ბანკის თეატრის დარბაზში მოჰხდა საზოგადო კრება ბანკის წევრთა. შემდეგ მისა, რომ დამტკიცდა სია შეკრებილთა წევრთა ზედამხედველ კომიტეტისაგან, თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ კრება შემდგარია და საქმეთა განხილვას უნდა შევუდგეთო. მორიგთა საქმეთა შორის პირველად დანიშნული იყო გარჩევა და დამტკიცება წლიურის ანგარიშისა, რომელიც წარდგენილ იქმნა ბანკის გამგეობისაგან და განხილულ და დამტკიცებულ ზედამხედველ კომიტეტისაგან. წაკითხულ იქმნა მოხსენება გამგეობისა ამ ანგარიშის თაობაზედ. ანგარიშმა ხანგრძლივი საუბარი არ გამოიწვია და დამტკიცებულ იქმნა კრებისაგან. თავმჯდომარემ წარუდგინა კრებას მეორე მორიგი საქმე განსახილველად. ეს საქმე იყო ბანკის წლის სახარჯოს შესახებ. ამ საქმის გამო გამგეობამ ბანკისამ და ზედამხედველმა კომიტეტმა სხვა-და-სხვა აზრი წარუდგინა კრებას. ამ საგნის გამო ასტყდა ხანგრძლივი საუბარი. გამგეობა ჰთხოულობდა, რომ წინანდელს სახარჯოს უნდა საამწლოდ მოემატოს: ხუთს დამფასებელს ოც-და-ათ-ათი თუმანი ჯამაგირი, ერთი უმცროსი თანაშემწე ბუხგალტერისა კიდევ მოემატოს ბანკსა და ამისათვის დაინიშნოს ჯამაგირი წელიწადში ოთხმოცი თუმანი, ოც-და-ათი თუმანი მიემატოს მდივანს ბანკისას, თორმეტ-თორმეტი თუმანი ოთხს გადამწერელს, ექვს-ექვსი თუმანი ბანკის მცველ მოსამსახურეებს, არქიტექტორისა და მიწის-მზომელის მოსაწვევად, თუ საჭირო იქნება, ასოცი თუმანი გადაიდოს და ბანკის წევრთა წასვლა-მოსვლისათვის და უეცარის ხარჯისათვის ორმოც-და-ათი თუმანი და ბანკის ვექილს ოცი თუმანი.

ზედამხედველის კომიტეტის აზრით, ბუხგალტერის თანაშემწე ჯერ ჯერობით საჭირო არ არის და მაშასადამე ოთხმოცი თუმანი უნდა გამოაკლდეს გამგეობისაგან წარმოდგენილს სახარჯოსაო, არქიტექტორისა და მიწათ-მზომელის მოსაწვევად საკმაოა სამოცი თუმანი ას ოცი თუმანის მაგიერო და გამგეობის წევრთა წასვლა-მოსვლისათვის საკმარისია ასი თუმანი და მეორე ასი თუმანი-კი საჭიროა დაინიშნოს ზედამხედველ კომიტეტისათვის სახარჯოდ მისთა წევრთა წასვლა-მოსვლისათვის, რომ ამ გზით თვალ-ყური ადევნონ საქმეთა წარმოებასაო.

ხანგრძლივი საუბარი ამ საგანზე დასრულდა იმაზე, რომ კენჭი იქმნას ჩამოტარებული და კენჭის ჩამოტარება მეორის დღისთვის გადიდო. 13 აპრილს 10 საათზე მოწვეულია კრება დანარჩენ საქმეთა განსახილველად.

⁂ მემკვიდრე პრინცი იტალიისა დაბრუნდება ტფილისს 25 აპრილს, დილის 8 საათზე. ბაქოში მივა 18 აპრილს და იქიდამ წაბძანდება კედაბეგს სპილენძის საკეთებელ ქარხნის სანახავად. მერე დაათვალიერებს კალაკენტის მადნებს. იქიდამ გაემგზავრება სევანგის მონასტრისაკენ, ჰნახავს ეჩმიაძინს და ერევანს. 28 აპრილს პრინცი რუსეთს წაბძანდება ტფილისიდგან კავკავის გზით.

⁂ მემუსიკე გლავაჩს, რომელიც სტუმრად არის ტფილისში და რომელმაც რამდენიმე კონცერტიც გაჰმართა აქ, დაუთვალიერებია თითქმის ყველა სასწავლებელი ტფილისისა, ორიოდ-სამიოდეს მეტი, მოუსმენია იქ მუსიკის დაკვრა და სიმღერების თქმა შეგირდების მიერ და უთქვამს, რომ სადაც კი ვყოფილვარ, ისე კარგად მოწყობილი საქმე მუსიკისა და მღერისა არსად არ მინახავს, როგორც კავკასიის სწავლა-განათლების სამზრუნველოს უწყებაშიო.

⁂ გუშინ-წინ ჩვენს გაზეთში შეცდომით იყო მოხსენებული, რომ ბ-ნ ი. გოგებაშვილის ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, რომელსაც შემდეგ „კოკორი“ დაერქვა, დაიბეჭდა პირველად 1875 წელშიო. ნამდვილად-კი ეს წიგნი პირველად დაიბეჭდა 1865 წელს და მას აქეთ შესრულდა წელს სრული ოც-და-ხუთი წელიწადი.

⁂ მომავალს ორშაბათს ქალაქის საბჭო მოისმენს ქალაქის გამგეობის აზრს ტფილისის მილის წყლის ქიმიკურისა და მიკროსკოპიულის გამოკვლევის შესახებ.

⁂ პიატიგორსკი: ზამთარი არ იყო აქეთ ძალიან სუსხიანი და შესაწუხებელი, [illegible] ზაოალი არაფერი არ მოუცია. გაზაფხული-კი მეტად წვიმიანი და ტალახიანია. ჩვენის ქალაქის ქუჩები მორევებით არის სავსა. კაცს არ გაევლება სწორედ აქაურს ქუჩებში. ჩქარა მაისი დადგება, „კურსისათვის“ ქვეყანა აქ შეიკრიფება და ჩვენ-კი თითქო ბაიბურში არა ვართ, რომ სისუფთავისათვის ვიზრუნოთ რამე.

⁂ იქიდამვე: კარგა ხანია მას აქედ, თითქმის ოთხი თვე იქნება, რაც აქ ორმა ახალგაზდა კაცმა თავი მოიკლა რევოლვერით. ორივე თავის მკვლელნი რუსნი იყვნენ ტომით, შეძლებულისა და ცნობილის კაცის შვილნი: ერთი შერემეტიევი და მეორე—ზიპალოვი. შერემეტიევი სულ 21 წლის კაცი იყო და მსახურებდა აქაურს ნიჟე-გოროდის პოლკში, ხოლო ზიპალოვი აქაურ მდიდრის ვაჭრის შვილი იყო. მიზეზი იმათის თავის მოკვლისა დღესაც არ იციან. ლაპარაკი და მითქმა-მოთქმა-კი ბევრი იყო დღემდე, მაგრამ ახლა-კი მიჩუმდა და მიწყნარდა ყოველივე.

---

# ფელეტონი

### ენძელა

ენძელავ, ამოჰყვავდები
გაზაფხულისა პირსაო;
დაიდგამ ოქროს გვირგვინსა,
წყლით დაისველებ ძირსაო;
თავს დაიმშვენებ, ბანაობ
ყოველ დილ-დილით ნამითა;
დღისით მზეს ეთამაშები
და მთვარის სხივებს ღამითა.
ნარნარი გაგაქვს, ტურფად ირხევი
ნიავის მობერვაზედა,
მაგრამ-კი ჰქრები უეცრად,
ადრე მოსულო სხვაზედა;
რთვილს გადებს ღამით ბუნება,
ვერას გებულობ მძინარი
და ესალმები ქვეყანას
დაუმტკბარ-გაუცინარი.
დილით გაშლილი კეკლუცი
საღამოს დაიხუთები...
და შენ გგავს სწორედ, ენძელავ,
ჩემის სიცოცხლის წუთები!..

ზაქელი

---

### უკანასკნელი სიმღერა

მოთხრობა ყორყ ონესი

VII*)

კონცერტის დარბაზი გატენილი იყო ყველა ჯურის ხალხით, რომელიცა დიეპპში მოიპოვებოდა. ისეთი ბული დატრიალდა, რომ ქალებს თავბრუ ესხმოდათ. ურიცხვ მარაოების ქნევისათვის რომ გეცქირათ, გეგონებოდათ ზაფხულის ჭრელი პეპლები დაფრინავენო.

პირველ რიგში იჯდა ის კნეინა, რომელმაც, ხალხის აზრით, მარაკჩის გააბედვინა კონცერტში მონაწილეობის მიღება. იმასაც თავი მოჰქონდა და ხმა მაღლა განკარგულებას აძლევდა გამგეთა სახელმძღვანელოდ. სცდილობდა საზოგადოების ყურადღება მიექცია. ორის დღის წინად მოდი გადაიყვანეს „თბილ აბანოების“ სასახლეში, სადაც იმ დღეს კონცერტი იყო. სწორედ სასწაული მოხდა იმის თავს. ისეთ ნაირად მოცოცხლდა და გამობრუნდა, რომ მკურნალებმა იმედი მოიცეს, იქნება მორჩესო. რადგანაც მახლობელს ოთახში მოდი ტახტზე წამოწოლილი იყო და იქიდგან ყურს უგდებდა, სტენიო ძალიან გამხნევდა. მოჰკიდა თუ არა ხელი ქამანჩა-პიანურს, ხალხი აღელვა. ყველას სახე ეცვალა. როცა სტენიო პიესას გაათავებდა ხოლმე, ისეთი ტაშის კვრა და ბრაგა-ბრუგი ასტყდებოდა, რომ ყურთა სმენა აღარ იყო.

ჯერ მარაკჩის ისე გატაცებით არსად დაეკრა, როგორც იმ საღამოს. მთელი სხეული უთრთოდა, თითქოს გააციებაო. რაღაცა უხილავმა ძალამ შეიპყრო. კაცს ეგონებოდა, არა წმინდა სულმა გააჩხლაო. არც კაცი და არც სხვა რამე სტენიოსათვის აღარ არსებობდა. ის ერთიან თავის გრძნობას მიეცა და აღარ იცოდა, სად იყო და სად დაფრინავდა. მისი სახე ერთსა და იმავე დროს მხიარულიც იყო და ზარ-დამცემიც. აღარავის ყურს აღარ უგდებდა; არც არასა ჰხედავდა, არც არა ესმოდა-რა. როცა მხიარულს უკრავედა, სხვასაც ალხინებდა, თითონაც შეშლილივით იცინოდა. დაუკრავდა გლოვისას, მსმენელსაც აატირებდა, და თითონაც ცხარე ცრემლი სდიოდა. მსმენელები საქაოს აღარ იყვნენ, ისინი მუსიკისა და გრძნობის სამფლობელოში იყვნენ წასულნი. სტენიოს ზეგარდმოცხებული ნიჭი თანდათან ძლიერდებოდა, ბოლოს-კი ყველანი დაიმორჩილა და დაიმონავა.

პიანურის ხმა ცოცხალი სურათი იყო სტენიოს სულისა. მსმენელი ჰხედავდა იმის ტანჯვას და თითონაც იმავე ტანჯვით იტანჯებოდა. იქ იხატებოდა მხიარული, ბრწყინვალე წარსული და ბუნდოვანი, მწარე მომავალი.

მოდის დეზი ჰყავდა გვერდით და ოთახიდგან უგდებდა ყურს.

პირველი ხმა ცივად მოხვდა გულზე. ისე შეჰბოჭა, რომ სუნთქვა გაუძნელდა. დეზის შეეშინდა, არა დაემართოს-რაო. მაგრამ თანდათან დამშვიდდა. სტენიოს პიანურმა სრულიად გაუფანტა სენი. მოდი სიამოვნებით ისმენდა ზეციურს ჰანგებს, რომელსაც პიანური ამბობდა. დარწმუნებული იყო, რომ სტენიო არავის გულისთვის არ დაუკრავედა, თუ იმას არ ეთხოვა.

მთელის სამის წლის ცხოვრება და ამბები სულ თვალ-წინ წარმოუდგა. თითოეული ჰანგი რომელსამე ამბავს აგონებდა თავისა და თავის ქმარშვილის ცხოვრებისას.

ჯერ წარმოუდგა ხელმწიფის სასახლე, სადაც პირველად ნახა სტენიო.

გადავიდა გროვენსკვერში, სადაც ერთს შემოდგომაზე ისა და არტისტი ერთად დასეირნობდნენ ხოლმე საღამ-საღამოობით. პირველად აქ გაბედა სტენიომ სიყვარულის გამოცხადება. ისე ცხოველად გამოეხატა ეს სურათი, რომ მაშინდელის ყვავილების სუნიც-კი იგრძნო.

*) იხ. „ივერია“ №№ 72, 73, 74 და 75.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*** იქიდამკე: ამ ერთის თთვისა, თუ თთვე ნახევრის წინად ჩვენი საზოგადოება აალაპარაკა ერთის პატიმარის გაქცევამ აქაურის ციხიდგან. პატიმარს რაღაც მძიმე დანაშაულობისათვის სამუდამოდ კატორგა ჰქონდა გადაწყვეტილი. ბევრს ეცადნენ იმის კვლავ შეპყრობას, მაგრამ ველარა მოახერხეს-რა და დღესაც მისი კვალი არსად სჩანს.

*** გაზ. „კავკაზი" ამბობს, რომ დღემდე მოუგროვებიათ და დაუწვავთ სულ განჯისა, ნუხისა, ყაზახისა და შუშის მაზრებში 17,366 ფუთი და 17 გირვანქა კალიის თესლიო.

*** ჩვენ შევიტყეთო, ამბობს გაზ. «ტფილ. ფურც.»-ი, რომ მთა მადნების გამგე კავკასიაში დ. ს. ს. მელლერი სტოვებს თავის თანამდებობას და პეტერბურგში სხვა ალაგზე გადადისო.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსის კანცელარიის მმართველი ნ. ა. შავროვი დაუთხოვნიათ სამსახურიდგანაო, გვაუწყებს ზემოხსენებულივე გაზეთი.

*** იქვე სწერია: მთავრობას გამოუგზავნია კავკასიაში მთა-მადნის ინსტიტუტის პროფესორი [illegible]ცევი, რომ გეოლოგიის მხრივ შეისწავლოს ის ადგილები კავკასიის ქედისა, სადაც რკინის გზა უნდა გაიყვანონ.

*** აპრილის ათიდგან, სამშაბათს, დაუწყო რევიზია ტფილისის სახელმწიფო პალატისაგან დანიშნულმა სამმა რევიზორმა ტფილისის სავაჭრო მაღაზიებს, ფაბრიკებს, ქარხნებსა და სახელოსნოებს. თითოეულს რევიზორს ორ-ორი დეპუტატი ჰყავს მიჩენილი სავაჭრო დეპუტაციისა საქალაქო გამგეობის განკარგულებით. („ახ. მიმ.")

*** სიღნაღი: ოცს ამ თთვეს აქ დიდი წვიმა იყო და ასე გასინჯეთ, თოვლიც მოჰყვა. ჯეჯილსა და ბალახს ძალიან არგო ამ წვიმებმა. კარგს მოსავალს მოველით, მაგრამ შირაქის მინდვრებში კალია გამოჩნდა. გაცხარებული მუშაობაა ვენახებში, თუ მილდიუმ და ნაცარმა უქმად არ ჩაატარა ჩვენი შრომა. ვისურვებთ, რომ საფილოქსერო კომისიამ ხელი შეუწყოს ჩვენს გლეხებს და ა' წაელოს, თუ რა ნაირად შეიძლება ამ ფრიად საზარალო სენის გაქრობა. („ახ. მიმ.")

*** ამ თთვის 11, ღამის 9 საათზე, პოლიციის მესამე ნაწილში, იპოვნეს ერთის კვირის დაბადებული ბავშვი. ბავშვი საზებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

გუდამაყარი (დუშეთის მაზრა). ფასანაურიდგან ჩრდილოეთის მხარეს, კავკასიონის მთების კალთების ძირში, იწყება ვიწრო ხეობა გუდამაყრისა. ამ ხეობაზედ აქა-იქ გაფანტულად სცხოვრობს სამასი კომლი ქართველის ტომის ხალხი, წოდებული გუდამაყრელებად.

გუდამაყრის ხეობა, როგორც საზოგადოდ სუყველა მთის ადგილები, ძლიერ მწირი და უნაყოფოა, დიდის სიცივეების გამო ქერისა და ბალახის მეტი აქ სხვა არა მოდის რა. ამას დაუმატეთ სახნავ-სათესის ადგილების სიმცირე, ისეთი სიმცირე, რომ ზოგს მეკომურს ორის დღის სახნავი მიწაც არა აქვს. გუდამაყრელებს საძოვარი მთები ბლომად აქვთ და ამის გამო [illegible] ცოდნას უფრო მისდევენ. გუდამაყარში ბლომად მოიპოვება ისეთი ოჯახი, რომელსაც ორი ათას სულზე მომეტებული ცხვარი ჰყავდეს და ოცზე მომეტებული სხვილ-ფეხი საქონელი.

თუმცა სახნავი ადგილები მწირია გუდამაყარში, მაგრამ გუდამაყრელნი ნივთიერად კარგს მდგომარეობაში იმყოფებიან; იმათნი დიაცნი, ანუ დედაკაცნი, თანასწორ მამაკაცებისა, ერთგულად მუშაობენ სახლისათვის. გუდამაყრელებს გაყრა-განცალკევებით ცხოვრება არ უყვართ და ერთად დიდ ოჯახად ყოფნას ამჯობინებენ; აქ იშვიათი არ არის, რომ ერთს სახლში ოცი-ოც-და-ათი სული ითვლებოდეს. მართალია, გუდამაყრელებს ნივთიერი შეძლება აქვთ, მაგრამ ისევე ბინძურად და უსუფთაოდ სცხოვრობენ, როგორც მათი მეზობელნი მთიულნი და ხევსურნი.

როგორც ხევსურეთში, ისე გუდამაყარშიაც იციან „ბოსლობა", ანუ განდევნა მშობიარე დედაკაცებისა სახლიდგან სოფელს გარედ პატარა ქოხებში, სადაც უნდა მოილოგინოს მშობიარემ. ის წვალება და ვაება მშობიარესი სიცივისა და მარტოობის გამო, რომელსაც უნდა გაუძლოს დედაკაცმა ამისთანა პატარა ცივს ქოხებში, წარმოსადგენადაც-კი საშინელია და შესაზარი. არა ერთი მაგალითი ყოფილა, რომ მშობიარე სიცივისა და მარტოობის გამო წუთი-სოფელს გამოჰსალმებოდეს.

სხვაფრივაც ცრუ-მორწმუნეობას გუდამაყარში დიდი ადგილი უჭირავს. მაგალითად, გუდამაყრელი ქვითკირის სახლს ვერ ააშენებს, რადგანაც, როგორც ის ამბობს, „ხატი" არ მყაბულობსო. ყმაწვილს სასწავლებელში ვერ მისცემს, რადგანაც „ხატი" იწყენსო. ღირს-შესანიშნავია ის გარემოებაც, რომ გუდამაყრელი ეკკლესიას ისე უფრთხის, როგორც ერთ საშინელებას რასმე. მიზეზი რომ ჰკითხოთ, აი რას გიპასუხებთ: „ხატში ვერ შემოვალ, დამმიზეზამს; არაჩე, ვერ შემოვალ, მეშინიან!"

ასეთი ცრუ, მავნებელი ფიქრი ეკკლესიისა, დედაკაცისა და სხვა ათასის რამის შესახებ შთანერგილი აქვთ თავიანთ «დეკანოზებისაგან», რომელთა რიცხვი იქნება გუდამაყარში არა ნაკლებ ორმოცისა. დეკანოზები გუდამაყრის სალოცავ-ხატებში სრული ბატონები არიან, ესენი ამწყალობნებენ მლოცავს ხალხს, აკურთხებენ და ჰკვლენ საკლავებს სალოცავებში.

სალოცავები ხომ გუდამაყარში ბლომად არის: „ზეგარდობა", „პირი-მზე", «ფუცის ანგელოზი» და სხვანი, სადაც ასობით საკლავი იხოცება: მარტო «ფუცის ანგელოზობას» ექვსასი ცხვარი და ორმოცი კურატი ერთს დღეს დაიკვლება.

«დეკანოზებისა» უფრო მეტი სწამს და მეტი სჯერა ხალხს, ვიდრე მღვდლებისა. ის დრო ჯერ მალე არ დადგება, რომ მღვდლებმა გუდამაყარში სრული ნდობა და პატივისცემა მოიპოვოს ხალხისა. მღვდელს გუდამაყარში უყურებენ არა როგორც თავის სულიერს მამასა და დამრიგებელს, არამედ როგორც მთავრობისაგან დადგენილს მათთვის საშინელს კაცს. გუდამაყრელი არამც თუ გაუზიარებს მღვდელს, როგორც თავის სულიერს მამას, თავის სულისა და გულის ვითარებას, პირ-იქით, სცდილობს დაჰფაროს თავისი ზნე-ჩვეულება. აგრეთვე ცნობილია ისიც რომ ჯვრები და ხატები, უფრო შესანიშნავნი არხეოლოგიურის მხრით, დამარხული აქვთ გუდამაყრელებს მიწაში.

რომ დღევანდელს ზოგიერთს კერპულ ჩვეულებას ბოლო მოეღოს და გუდამაყარს მოეფინოს განათლების სხივი, ფრიად საჭიროა გუდამაყარში სკოლის გამართვა. ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება კარგს იზამს, რომ ამ სიბნელის წყვდიადით მოცულს საქართველოს კუთხეში სკოლას დააარსებდეს.

გუდამაყრის მღვდელი იობა ყრუაშვილი

## წერილი რედაქციის მიმართ

თუ შეიძლება, ამ ორიოდე სიტყვას თქვენს პატივცემულს გაზეთ „ივერიაში" მიეცით ადგილი: დღეს გაზეთ «ივერიის» № 72-ში წავიკითხე, ვითომც ჩემს წიგნის მაღაზიაში ისყიდებოდეს მარტო ქართული და რუსული სახელმძღვანელო წიგნები. სიმართლის აღდგენა მაიძულებს ორიოდე სიტყვა გსთქვა ამის შესახებ. ჩემს მაღაზიაში ქართულ და რუსულ სახელმძღვანელოებს გარდა ისყიდება მრავალ გვარი ქართული და რუსული თხზულებანი და აგრეთვე სასულიერო წიგნებიც, რომელიც კორესპონდენტსაც კარგად ეცოდინება, ხოლო რაც შეეხება კორესპონდენტის მიერ თქმულს ბიბლიოთეკის დაარსების თაობაზედ, მე ძლიერ მოხარული ვიქნები, თუ ვინმე დაარსებს. ჩემთვისაც თუ არ სასარგებლო, საზარალო არ იქნება, ვინაიდგან მე მაქვს წიგნის მაღაზია და არა ბიბლიოთეკა.

კონსტანტინე ნოდია

9 აპრ. 1890 წ.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

სულ ოცი-ოც-და-ხუთი წელიწადია, რაც რუსეთმა შუა აზიაში ფეხი მოიკიდა. ამ მცირე ხანშიო, ამბობს გაზ. „С.-Петерб. Вѣдомости":

რუსეთის მდგომარეობა, მაგალითებრ, იმიერ-კასპიის მხარეში მხნელად იცნობება. ადვილად დასანახავია, რა დიდს სარგებლობას შეიძლება მოველოდებოდეთ აქედგან. აზიურს პოლიტიკას რუსეთისას მჭიდრო კავშირი აქვს იმისსავე ევროპის პოლიტიკასთან და, არამც თუ მჭიდრო კავშირი, ხშირად იმისი შედეგიც კი არის. ერთის მხრით თუ ვერ უარ-ვყოფთ იმ გარემოებას, რომ რუსეთი შუა-აზიისაკენ თავის საზღვრების დასაცველად იწევდა, ამასთანავე ეჭვი არა აქვს იმასაც, რომ აზრად ჰქონდა აგრეთვე, განსაკუთრებით-კი ბოლოს დროს, აზიაში ისეთი ადგილი ეგდო ხელთ, რომლიდგანაც შესაძლებელი იქნებოდა მედგრად თავს დაცემა ერთს თავის დაუღალავს მტერზედ, თუ ვინიცობაა იგი თავის მტრობას არ დაიშლიდა. ამ მხრით რომ შევხედოთ შუა-აზიაში დამკვიდრებას, ვერ უარ-ვყოფთ, რომ ფრიად დიდი და დიდი მნიშვნელობა აქვს. განა დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ინგლისი ყველასათვის, და მათ შორის რუსეთისათვისაც, კუნწულის სახელმწიფო იყო, მტრისათვის მიუვალი და ფლოტით კარგად გამაგრებული. აგერ გაიარა 15–20 წელიწადმა და ერთიან იცვალა საქმე: ინგლისი ყველა სხვა სახელმწიფოსათვის ისევ ისეთივე მიუვალი და გამაგრებულია, მხოლოდ რუსეთისაკენ-კი ისეთი სუსტი მხარე აქვს მოქცეული, რომ ძლიერი და მოფიქრებული თავს დაცემა ძირიან-თხემიანად შეარყევს იმის ძლიერებასა და დიდებას. მერმისში გამოჩნდება, თუ რა გავლენა ექმნება შუა-აზიაში საქმეთა ცვლილებას ევროპის პოლიტიკაზედ საერთოდ და აღმოსავლეთის საქმის გადაწყვეტაზედ კერძოდ.

სწორედ ამისთანავე წერილი იყო დაბეჭდილი ამ რამდენისამე ხნის წინად ერთს ინგლისურს გაზეთში, რომელიც ამბობდა, რომ შუა-აზიის მხრივ ადვილად დავძლევთ ჩვენს მტერს და ძირიან-თხემიანად შევარყევთ იმის ძლიერებასა და დიდებასაო. შუა-აზია ამ ორივ სახელმწიფოს ურთიერთის სუსტ მხარედ მიაჩნიათ. რაღა თქმა უნდა, მერმისი გამოარჩენს, რამდენად შესწევთ ორივეს ღონე ქადილსა და რომელი რამდენად მართალია.

**

თ. მეშჩერსკი-კი ამასობაში სულ ჭორიკანაობს თავის „ნათლიდედებთან" და თავის შინაურულ ბაასს გაზეთის ფურცლებზედ სჭიმავს. ორ აპრილის რიცხვით ამ ახირებულს რედაქტორს უახირებულესის გაზეთისას აღნიშნული აქვს

---

ოჰ, რა დრო იყო ის დრო, როდესაც პატარა დარბაზში სტენიო ქიანურს უკრავდა მელივან გრეისთვის და მოდი—აკომპანიმენტს. რა ნაირად გაიტაცებდა ხოლმე მოდის სტენიოს ქიანური! მოაგონდა აგრეთვე თავიანთი ძველი სასახლე, რომელიც მშვენიერს ტყიანს ადგილას იყო აშენებული. აქ იყო, რომ სტენიოს უარი უთხრა მამამ, ქალს ვერ მოგცემო, მაგრამ მოდიმ გაჰბედა და გამოუდგა უკან არტისტს. რა წელიწადი იყო ის წელიწადი! სიყვარული, აღტაცება, თავ-მოწონება, სინანული, თავ-მდაბლობა—ყველაფერი გამოსცადა მაშინ. ოჰ, მამას რომ ეპატიებინა, ყველაფერზე ხელს აიღებდა, ყველაფერს დასთმობდა! მერე რა ძვირფასი სასყიდელი იქნებოდა! ხელმწიფეები სცდილობდნენ მოდის გაცნობას, აღტაცებით უხვდებოდნენ და დიდს პატივსა სცემდნენ. ყველა ტაშს უკრავდა, აქებდა, ადიდებდა, ერთილა იყო სანატრელი, რომ მამა შერიგებოდა.

სურათი კიდევ გამოიცვალა. ეხლა გამოეცხადა აკვანი სულთმობრძავის შვილისა. მოდი იბრძვის, ფვლის, ტირის, მაგრამ ტირილისაგან ვერ იხსნის. მზად არის თავისი სული შთაბეროს ყმაწვილს, მაგრამ ამაოდ, ყველაფერი ტყუილი გამოდგა, შვილი ხელში უკვდება. აჰა, განათდა ზეცა, გამოჩნდა მგალობელ ანგელოზთა გუნდი და ამის პირმშოც იმათში ჩაერია. მოდი შეაცქერდა, თითონაც გაფრენა დააპირა შვილისკენ, რომელიც ხელს უქნევდა, აქ წამოდიო, მაგრამ რაღაცა ძალა იჭერდა. ეს ძალა იყო სტენიოს ქიანური, რომელიც ეხლა გლოვის ზარს უკრავდა. თითონ სტენიოს ჩურჩულიც მოესმა: „მომიცადე, მოდი, მეც მოვემზადები და ერთად წავიდეთ. აქ აღარ გვედგომილება. წავიდეთ იქ, სადაც არც ცრემლია, არც ტანჯვაა, მხოლოდ სიყვარულია, უკვდავი, დაუსრულებელი". მოდიმ არ იცოდა, რა ექნა: შვილიც უძახდა, ქმარიცა. რა ექნა? საით უნდა წასულიყო? საშინლად შეშფოთდა, ატირდა და გულის კვნესით შესჭყივლა. კიდევ დამშვიდდა, შეფიქრიანდა და დას ხელი მოაველო.

— რა იყო, გენაცვალე? ცახცახით ეუბნებოდა დეზი: ცუდად ხომ არ შეიქენ?

— არა, მაგრამ ვგრძნობ-კი, რომ გეთხოვებით... ეს არის ეხლა ჩემი შვილი გამომეცხადა და თავისთან მიძახდა... ჩემის აღსასრულის დღე მოვიდა!.. სტენიოსაც შეუტყვია: აგერ, გეყურება რას უკრავს?

სტენიო უკრავდა „უკანასკნელს სიმღერას", რომელიც ნამდვილი ანდერძი იყო მომაკვდავ კაცისა. მხოლოდ ტირილი ისმოდა, ზარი და გლოვა. მწარე ხმა იყო, მაგრამ მოდი დიდის გულ-დადებით ისმენდა. ეს იყო ხმა სამარისა, რომელიც იმის აღსასრულს მოასწავებდა.

მარტო იმდენი სიცოცხლე და შერჩა, რომ ქიანური შემწყდარიყო.

— თუ გინდა, სტენიოს დავუძახებ, უთხრა: შეშინებულმა დეზიმ.

— არა, ნუ დაუძახებ, დეე კიდევ დაუკრას, უპასუხა შეშფოთებულმა მოდიმ, რომელიც გაცეცებული ისმენდა ქიანურის ხმას, თითქოს სცდილობს არაფერი გამომეპაროსო.

სახეზე რაღაც კმაყოფილება გამოეხატა და წყნარად წარმოსთქვა.

— ნეტავი ისე მოვკვდე, რომ სტენიოს ქიანური ნანას მეუბნებოდეს.

— მოდ! მოდ! ჰა! მოდ! ჩაჰყვირა დაფეთიანებულმა დეზიმ და კარებისაკენ გაექანა.

სულთმობრძავმა თვალები შეაჰყუტა და შეშინებულის ხმით უთხრა:

— ოჰ, რა ნაირად მიყვარს სტენიო! რა მწუხარებით ვეთხოვები საუკუნოდ! რა ნაირად შემიწუხდება საყვარელი!

დეზიმ გაქცევა დააპირა სტენიოს დასაძახებლად, მაგრამ მოდიმ თავისი მოდუნებული ხელი ჩაავლო და გულში ჩაიკრა.

დარბაზში საშინელი ქრიამული, ტაშის-კვრა და ბრაგა-ბრუხი ასტყდა. ყველა მარაჩის სახელს გაიძახოდა. „ბრავო" „ბრავო", აღარა თავდებოდა.

მოდის თვალები გაუბრწყინდა. ქმრის დანახვაზე წამოიწია და ხელები გაუწოდა, მაგრამ ველარ შესძლო, ისევ ლოგინზე დაეცა, თვალები დახუჭა და აღარ გაუხელია.

სტენიომ დაიჩოქა და ხმა მაღლა დაიწყო ტირილი. თან შემოტანილი გვირგვინი და თაიგულები მიცვალებულს დააწყო ნიშნად იმისა, რომ ყოველთვის მზად ვიყავ ჩემი სახელი და დიდებაც შენთვის შემომეწირაო.

ს. გძელიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი ლაპარაკი ერთს ნათლიდედასთან იმის შესახებ, თუ ვინ უნდა დაინიშნოს კავკასიაში მთავარ-მართებლად. ეს ნალაპარაკევი სიტყვა სიტყვით და ხელ-შეუხებლად მოგვყავს აქავე:

— აკი გითხარით, მითხრა ნათლიდედამაო, სწერს მეშჩერსკი: ჩემი სიტყვა გამართლდა, გრაფი შუვალოვი უკვე წამოვიდა.

— რა ჰქვიათ მერე, იმიტომ კი არ წამოვიდა, რომ კავკასიაში წავიდეს მთავარ-მართებლად, არამედ იმიტომ რომ დაესწროს თავისის ვაჟიშვილის ჯვარის წერას, რომელიც კვირაცხოვლობას დღეს მოხდება.

— ეგ მხოლოდ მიზეზია (!), ნამდვილად-კი იმიტომ არის ბერლინიდგან მოსული, რომ თავად დონდუკოვისაგან კავკასია ჩაიბაროს.

— ეგეც ტყუილია-მეთქი, ვუპასუხე მე: თავადი დონდუკოვი მაისის თვემდე ვერავის ჩააბარებს კავკასიას, რადგან ამ ქვეყნის მთავარ-მართებლად დარჩება იმ დრომდე, ვიდრე სახელმწიფო საბჭო ყველა მის მიერ წარდგენილ საქმეთა განხილვასა და გასინჯვას არ დაასრულებს. გრაფი შუვალოვი-კი ჯვარის-წერის შემდეგ ისევ ბერლინშივე მიემგზავრება.

— აი ჰნახავთ, თუ ჩემი სიტყვა არ გამართლდეს.

— ძნელად წარმოსადგენელია, რომ ამისთანა დროს, როცა ბერლინში ათასი რამ ხდება უცნაური და მოულოდნელი, შეუძლებელად დაინახონ და ის იქაური ელჩი გაამწესონ სადმე სხვაგან, რომელიც დაახლოვებით იცნობს ბერლინის საზოგადოებასა და რომელსაც კარგადა აქვს შესწავლილი მთელი იქაური საპოლიტიკო სცენა თავისის კულისებითურთ. ძნელად თუ ისეთი უცხო კაცი გაჰგზავნონ ბერლინში, რომელიც ამ გაჭირებულს დროს უფრო იმითი გაგვიძნელებს, რომ ბერლინში მისული ტყეში ახლად შესულსავით იქნება.

— ტყეში შესულსავით იქნება, თუ არა, მაგისი რა მოგახსენოთ და ისკი ნამდვილად ვიცი, რომ ეგ საქმე გადაწყვეტილია: ზინოვიევი სტამბოლში მიდის, ნელიდოვი—ვენას, ლობანოვი—ბერლინში, შუვალოვი—კავკასიაში და იონინი-კი ზინოვიევის ადგილას უნდა დანიშნონ.

— მერე ვინ გითხრათ ეგ ამბავი?

— ვინ მითხრა და მარიამ ანდრიას ასულმა გადმომცა, რომელიც ყველაფერს ნამდვილად შეიტყობს ხოლმე.

— შეიძლება, მაგრამ მე კი არა მჯერა, რომ გრაფი შუვალოვი დანიშნონ კავკასიაში მთავარ-მართებლადაო, უპასუხნია მეშჩერსკის.

## უცხოეთი

ინგლისი. Contenpororary Review-ის აპრილის ნომერში დაბეჭდილია სამუელ ლენგის წერილი პროფესორის გიოკსლის წინააღმდეგ. გიოკსლიმ დასწერა ამას წინად რამდენიმე წერილი დემოკრატიის წინააღმდეგ დასაცველად და გამოსასარჩლებლად არისტოკრატიულის წეს-წყობილებისა. შესანიშნავი პროფესორი ამბობს, რომ საშიშია დემოკრატიულის აზრების გავრცელება და გამარჯვებაო.

სამუელ ლენგი სწორედ ამ აზრების წინააღმდეგია. ლენგი ამბობს, რომ ძველად, წარსულში არისტოკრატულს წეს-წყობილებას დიდი უპირატესობა ჰქონდა და აქვს დღესაც ზოგიერთს ქვეყნებში, საცა რომელიმე განსაკუთრებული ვითარება არსებობს, მაგრამ ავიღოთ ჩვენ ის სახელმწიფონი, საცა ინგლისური ენა ისმის და ჰბატონობს და ვნახოთ, იქ როგორ არის საქმეო. შეიძლება განა ვსთქვათ, რომ ინგლისში, ჩრდილო შეერთებულ შტატებში, კანადაში და ავსტრალიაში არისტოკრატიის დასუსტებასა და დემოკრატიის გაძლიერებას ზარალი მოჰქონდეს? „უკეთუ პროფ. გიოკსლი ამ აზრისაა, ამბობს ავტორი: მე გაებედავ და არ დაეთანხმები“. ვისაც უნდა შეიტყოს, რა ცხოველ-მყოფელია დემოკრატიული წეს-წყობილება ამერიკაში, გადაიკითხოს თხზულება ბრაისისა „American Commanwealth“ ო.

რაიცა შეეხება ინგლისს, აი რა შევძლენა უმთავრესად არისტოკრატიის ბატონობამ ამ 50 წლის განმავლობაში: გარეშე პოლიტიკაში თანაგრძნობას ვუწევდით ლუდოვიკო ნაპოლეონს, რომელმაც სიცოცხლე გაუმწარა საფრანგეთს და რომელმაც ინგლისიც ყირიმის ომში ჩაითრია; თანაგრძნობას ვუწევდით ოსმალეთს და რუსეთს ვეწინააღმდეგებოდით. ამ თანაგრძნობამ ერთისამ და მძულვარებამ მეორისამ იმ სასაცილო და უაზრო გზაზე დაგვაყენა, რომ ვიცავდით და ვიფარავდით ოსმალეთის იმპერიას და ვეწინააღმდეგებოდით იმ ქრისტიანე ხალხს, რომელიც ებრძოდა ოსმალთ განთავისუფლებისათვის; კოლონიების შესახებ კიდევ იმ გზაზე დაგვაყენა არისტოკრატიამ, რომ ინგლისი სცდილობდა უკანასკნელი ღონე გამოეწოვა მათთვის: სულ ყოველივე ჩვენა და თქვენ-კი არაფერიო. ჩემის აზრით, კოლონიები უთუოდ თავს დაიხსნიან ჩვენის კლანჭებისაგან, თუ ინგლისმა არ შესცვალა ასეთი თავისი წესი მათის მართვა-გამგეობისაო, ამბობს ლანგე.

შინა პოლიტიკაში ისეთს ცვლილებას ვერ დავასახელებთო, განაგრძობს ავტორი: რომ ამ უკანასკნელს 60 წლის განმავლობაში განხორციელებულიყოს, უკეთუ არისტოკრატთა, რომლის წარმომადგენელნიც მემკვიდრეობით სხედან ზედა-პალატაში, შესძლებოდათ თავიანთი სურვილი გაეყვანათ და წინააღმდეგობა გაეწიათ იმ ცვლილებისათვის. კანონები საარჩევანო უფლებათა გავრცელებისა, საერო განათლების მოფენისა, თავისუფალის პურის ვაჭრობისა, ეკკლესიისა და სახელმწიფოს განკვეთისა ერთმანეთისაგან ირლანდიაში, ირლანდიის საადგილ-მამულო კანონები და ბევრი სხვა სასიკეთო ცვლილება თავის დღეში არ ეღირსებოდა დღის ნათელს, სახელმწიფოს ბედი რომ რჩეულს უმცირესობას სჭეროდა ხელშიო. მიზეზი ამისიო, ამბობს ლენგი: ის არის, რომ არისტოკრატია ის აღარ არის დღეს, რაც უწინ იყო, ესე იგი არისტოკრატია რჩეულთა კრებული აღარ არისო.

გიოკსლი ამბობს კიდევ, ვითომ რუსოს თეორიების გავლენით უნდა აიხსნას, რაც-კი ამ ბოლოს დროს საეკონომიო რეფორმები მოხდაო, სწორედ იმ თეორიით, რომ კაცნი თანასწორნი უნდა იყვნენ, როგორც ყოფილან მაშინ, როცა კაცობრიობა ნადირ-ყოფილს მდგომარეობაში იყოვო. ლენგის აზრით, ეს ასე არ არის. რუსოს აზრების საქმე კი არ არის, ან ის განყენებული თეორია-კი არა მოქმედობს აქ, რომ ვითომ ყველანი ერთნი ვართო, დიდ-პატარაობა ნუ იქმნებაო, არამედ გაჭირება, ცხოვრების უნუგეშობა და თვით სახელმწიფოს მაღალი ინტერესიო. ცვლილება საადგილ-მამულო კანონ-მდებლობისა, უფრო სამართლიანი და თანაბარი განაწილება ხარჯისა და ბეგარისა თითოეულთა შორის, დაცვა და დაფარვა მშრომელთა—ყოველივე ეს სწორედ რომ დემოკრატიის გაძლიერებამ წამოაყენა წინ და სწორედ ამ გარემოების გამო დღითი-დღე უფრო უშიშრად შევცქერი დემოკრატიის გაძლიერებას, კმაყოფილი ვარ, რომ დღეს ასეა საქმე და უფრო იმედიანად შევყურებ მერმისსაო.

საფრანგეთი. 1 აპრილს დიდი კრება ყოფილა რესპუბლიკელებისა ბორდოში. კრებაზე დეპუტატთა პალატის პრეზიდენტს ფლოკეს წარმოუთქვამს სიტყვა. ორატორს გაუხსენებია კრებისათვის, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თქვენს ქალაქს მაშინ, როცა ის-ის იყო დაწესდა მესამე რესპუბლიკაო, და მოუყვანია სიტყვები თვით გამბეტასი, რომელსაც 1871 წელს უთქვამს ბორდოში. დიდებულმა ტრიბუნმა სთქვა მაშინ, რომ ყოვლად საჭიროა რესპუბლიკის გასამტკიცებლად და დასაცველად შინ და გარედ უპირველეს ყოვლისა ორს საქმეს მივაქციოთ ყურადღება: განათლების გავრცელებასა და ჯარის ხელ-ახლად მოწყობასაო. „ჩვენაო, განაგრძო ფლოკემ: გავაჩინეთ სკოლა, რომელშიაც ახალი თაობანი იძენენ სწავლას, რომელშიაც მზადდება განათლებული და ქვეყნისათვის სასარგებლო საარჩევანო კენჭის-ყრა. ეს კენჭის-ყრა დაიფარავს რესპუბლიკას შემდეგში ყოველ გვარ რეაქციისა და ცეზარობის მსურველთაგან. არ უნდა ვნანობდეთ იმ მილიონებს, რომელიც დავხარჯეთ საერო განათლებისათვის, რადგან იმ მილიონებმა გვიშველა და გააჩინა ნასწავლნი და განათლებულნი მოქალაქენი და კლერიკალობის კლანჭებისაგან დაიხსნა მოზარდი თაობანი“. შემდეგ ფლოკემ მოიხსენია სხვა ღვაწლიც რესპუბლიკისა: ჯარისა და მხედრობის საქმე, უზრუნველ-ყოფა მწერლობის თავისუფლებისა, კრებათა და ამხანაგობათა შედგენის თავისუფლებისაცა, და ბოლოს სთქვა, რომ ჩემი და ჩემის თანამოზიარეთა გულითადი სურვილია ყველა რესპუბლიკელების შეერთებაო. იმ შეერთების წყალობით შევიძლებთ და შევასრულებთ ადვილად ამ დიდს რეფორმებს, რომელიც არის მოხსენებული საფრანგეთის დემოკრატიის პროგრამაშიო. ეხლანდელი კანონ-მდებლობა-კი მეტის ერთგულებით უნდა შეუდგეს გამორკვევას მუშათა მდგომარეობისას და მოამზადოს საქმე სავაჭრო ხელშეკრულებათა შეცვლისაო.

## წვრილი ამბები

პარიჟის გაზეთი «Gil-Blas»-ი შემდეგს ამბავს მოგვითხრობს თავ. ბისმარკის ყმაწვილობისას. როდესაც გეტტინგენის სტუდენტად იყო, ახალგაზრდა ბისმარკი მიიწვიეს თურმე ერთს ოჯახში სატანცაოდ და ამის გულისთვის, რამდენისამე დღის წინად, თავმომწონე ყმაწვილმა შეუკვეთა ხარაზს ახალი ლაიკის ჩექმები. წვეულების ჟამი მოახლოვდა, მაგრამ ბისმარკს ჩექმები აღარ მოუვიდა, და ამიტომ ძალიან შეწუხდა. „ვერ მოგისწრებენ ჩექმებსაო“, უთხრა გულის გასახეთქად ამხანაგმა. „უთუოდ უნდა მომისწრონო“, უპასუხა ბისმარკმა. წვეულების წინა დღეს ბისმარკი მივიდა პირ-მტკიან ხარაზთან და ჰკითხა: „სად არის ჩემი ჩექმებიო?“ „პატივისცემით ბატონო ჩემო, მიუგო ხარაზმა: სასო-წარკვეთილებაში ვარ ჩავარდნილი, არაფრის გაკეთება არ შემიძლიან, იმდენი საქმე მაქვს“.—„აა! მაშ კარგი, ვნახოთ...“, სთქვა გულმოსულმა ყმაწვილმა კაცმა და წავიდა. ნახევარ საათის შემდეგ ისევ ხარაზთან დაბრუნდა და ორი დიდი ქოფაკი ძაღლი თან მიიყვანა. „გესმის, უთხრა ხარაზს: ხომ ჰხედავ ამ ძაღლებს? სინიდისს გეფიცები, სულ ნაკუწ-ნაკუწად დაგაგლეჯინებ შენს თავს, თუ ხვალისათვის არ მომიმზადე ჩემი ჩექმებიო“. დაემუქრა ასე და მოშორდა, მაგრამ ამას შემდეგ ყოველ საათის გასულს სახარაზოს ფანჯარასთან მოდიოდა ვიღაცა ბისმარკისაგან გამოგზავნილი კაცი და ხმა-მაღლა იძახდა: «გახსოვდეს, უბედურო, ძაღლებიო!» საწყალს ერთის ღამის ვადა ჰქონდა კიდევ. საღამოს ათს საათზე, თავის სახელოსნოს კარები რომ დაკეტა, მიუბრუნდა და გულ-ამოსკვნით უთხრა თავის ცოლს: „ამაღამ ჩემს თვალებს ძილი არ მოეკარებაო!“ ქუჩა დაცარიელდა და კუკუნათივით დაბნელდა. უცბად გაისმა ძაღლების ყეფა და მერე ხარაზის ნაცნობ ყმაწვილის მაღალი ხმა: „ხარაზო, იცოდე, რომ შენს სიცოცხლეს ფათერაკი მოელის! ცოლ-შვილი მაინც რატომ არ გეცოდება!“ მეორე დღეს ბისმარკი ახალ ლაიკის ჩექმებით სცეკვავდა იმ სახლში, სადაც მიწვეული იყო სატანციოდ.

— ასი წლიწადი სრულდება მას აქეთ, რაც ცილინდრის ქუდია შემოღებული. პირველად ეს ქუდი რადიკალებსა და რევოლიუციონერებს ეხურათ და ერთს დროს გერმანიაში აღკრძალული იყო იმისი ხმარება. მხოლოდ 1840 წელს სხვა დარი დაუდგა ამ ქუდს და მას უკან ზომიერის აზრის კაცებიც იხურავდნენ ხოლმე. ცილინდრის-ქუდის ტარება იმის ნიშანი იყო, რომ ქუდის პატრონი კეთილ-საიმედო აზრების კაციაო. რბილი, ნაბდის გვარი ქუდი ვისაც ეხურა, იმას-კი სწამებდნენ თავში ცუდი და მავნებელი აზრები გიტრიალებსო. დღეს-კი კაცის აზრსა და მიმართულებას ქუდით ვეღარ გამოიცნობ, რადგანაც სხვა-და-სხვა ნაირი ქუდი სხვა-და-სხვა აზრის კაცსა ჰხურავს.

— პენსილვანიაში, კალამაცოოს ქალაქში, ჰქადაგებს ეკკლესიის კათედრიდგან ერთი მშვენიერი და ახალგაზრდა 19 წლის ქალი, მის კერძო ბარტლემი, და ყოველს იმის ქადაგებას თითქმის მთელი ქალაქის ახალგაზრდობა ესწრობა. მრავალს ყმაწვილს ჩაუნერგა თურმე გულში მჭერმეტყველმა ახალგაზრდა ქალმა ქრისტიანულის ჭეშმარიტების სიყვარული. ალბად ახალგაზრდობას იმისი მშვენიერება ნაკლებ არა ჰხიბლავს, ვიდრე მჭერმეტყველება და რწმენა.

— ინდოეთში ჯერ ერთი გამოჩენილი მონადირე ვერ შეედრება თურმე ერთს ახალგაზრდა ინგლისელ ქალს, მაიორის ივენს გორდონის ცოლს. საკვირველს გამბედაობასა და გულადობას იჩენს თურმე ეს ქალი, როცა ვეფხვზე ნადირობენ. ყოვლად შეუძლებელია, რომ ტყვია ააცდინოს ნადირს. მაიორი გორდონიც შესანიშნავი მონადირეა თურმე და ნიადაგ თავის ცოლს დაჰყვება სანადიროდ, მაგრამ ვერც ის შეედრება ამ ხელობაში თავის ახალგაზრდა მეუღლეს.

## გასართობი.

გავისტუმრეთ ზამთარი დროთა ბრუნვის სამეფოს სავარძელზედ აბრძანდა ვაჟღვაცი გაზაფხული, რომელიც მაინც მშვენიერია, თუმცა-კი წინ დიდი წვიმიანი და ტალახიანი დარი წამოუძღვა. გაიარა კვირაცხოვლობამ, ჩვენმა დედებმა მორთულ-მოპრანჭულები და სარტყელ-გულის-პირში გამოკანკული ქალიშვილები წაიძღვარეს წინ, რათა მუშტარს საქონელი საპირიდგან დაანახვონ და არა სარჩულიდგან და ერთი ლაზათიანი ქორწილი გააჩაღონ, აღვირ-აშვებულ ცხენსავით უგზო-უკვლოდ მავალი ყმაწვილი კაცი ცოლ ქმრობის უღელში შეაბან, ორი ადამიანი ერთ სულ და ერთ ხორც აქციონ. ესლა მხოლოდ ყველა ქორწილსა, ნიშნობასა, ქალის დანიშვნასა და ვაჟის დაქორწილებაზედ-ღა ლაპარაკობს და ამიტომ მეტი არ იქნება რამდენიმე ისტორიული ცნობა ვაუწყოთ მკითხველებს გამოჩენილთა კაცთა ცოლიანობისა, ან უცოლობის შესახებ.

ისტორია-კი ამ მხრით ძალიან უხვს მასალას იძლევა. ლორდი ბეკონი, თვით ცოლიანი, სწერდა, რომ „ცოლ-შვილის პატრონი ბედს ატყუებს; ცოლი და შვილი—ხარიხაა ყოველისავე დიდებულის საქმისა. უდიდებულესის ნაწარმოების შექმნა მხოლოდ იმას შესძლებია, ვისაც ცოლი და შვილი არა ჰყოლია და მთელი თავისი დრო და ქონება საზოგადოებისათვის შეუწირავს“. ხოლო აგერ მეორე ინგლისის ფილოსოფოსი, ბენტამი-კი სულ სხვასა სწერს: „ისიცკი ვერ წარმომიდგენია, თუ როგორ სცხოვრობენ ის შუა-ხნის კაცნი, რომელთაც საყვარელი ცოლ-შვილი არა ჰყავთო“.

ეჭვი არ არის ამასთან, რომ დიდძალი ნიჭიერი და გენიოსი კაცი გარდაიცვალა უცოლოდ. ადამ სმიტი, მაგალითებრ, დიდის ზიზღით უყურებდა ცოლ-ქმრობას და ირწმუნებოდა, რომ „ადამიანი მხოლოდ ჩემთა წიგნთა შორის ვარო“. შამფორი ამბობდა: „ადამიანი რომ თავის გონებას ეკითხებოდეს ყოველთვის, არც ერთი კაცი ცოლს არ შეირთავდა, ხოლო რაც მე შემეხება, არასოდეს არ შევირთავ ცოლს იმის შიშით, რომ ვაი თუ ჩემი მსგავსი შვილი მომეცესო“. გამოჩენილთა კაცთა შორის, რომელნიც უცოლოები იყვნენ, ითვლებიან: დეკარტი, ლოკკი, სპინოზა, კონტი, ბაილი, ლეიბნიცი, კავენდიში, დალტონი. კავენდიშს არამც თუ ესიამოვნებოდა ქალები, სძულდა კიდეც. რათა არ შეხვედროდა თავისს სახლში გოგოსა და მოსამსახურე დედაკაცს, ეზოდგან კიბე გააკეთებინა და თუ რომელიმე დედაკაცი დაენახვებოდა, მაშინვე ითხოვდა.

დიდებულნი ისტორიკოსნი იუმი, გიბბონი, მაკოლეი, ბოკლი და სხ. უცოლოები იყვნენ. ცოლივე არ შეურთავთ გამოჩენილთ მხატვართ ლეონარდ-და-ვინჩის, რაფაელს და მიქელ-ანჯელოს. ეს უკანასკნელი სწერდა, რომ „მხატვრობა მეტად იჭვიანია და მოწინააღმდეგე ეჯავრება; იგი მიწევს ცოლის მაგიერობას და საკმაოდაც მაწუხებს. ჩემს შვილებად ჩემი ნახატები იქნებაო“. შესანიშნავ მემუსიკეთა შორის ცოლი არ შეურთავთ: ჰენდელს, ბეტჰოვენს, როს-

სინის, მეიერბერსა და მენდელსონს. „ეჭვი არ არის, ჭკვიანი კაცი ყოფილა ისაო, ამბობს მონტენი, ვინცა სთქვა: ბედნიერი ცოლ-ქმრობა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ ცოლი ბრმაა და ქმარი ყრუო“. ამავე აზრისა იყო კოლრიჯიც.

პოეტთა შორის უცოლოები დაიხოცნენ ინგლისის გამოჩენილი მწერლები: გოუპლეი, ოტვეი, კონგრივი, სვიფტი, პოპე, კოლლინზი, გრეი და გოლდსმიტი. ცოლი არ შეურთავთ აგრეთვე ლერმონტოვს, ნეკრასოვს, კოლცოვს და ნიკიტინს. პუშკინმა ცოლი შეირთო, მაგრამ თავსა და ბედს იწყევლიდა. ზოგიერთი პოეტი ძალიან ჩქარობდა შეუღლებას: შექსპირმა თვრამეტის წლისამ დაიწერა ჯვარი, შელლიმ—ცხრამეტისამ, ბაირონმა—ოც-და-ორისამ. უმეტესად პოეტები ვერაფერი ქმრები ყოფილან. ყოველთვის იდეალით შექმნილს ქალს ეტრფოდნენ თურმე და ნამდვილს სულდგმულს კარგად ვერ აფასებდნენ. უმეტესად იდეალურს სიყვარულსა ჰგრძნობდნენ დანტე ბეატრიჩესთან, პეტრარკი ლაურასთან და ტასო ლეონორასთან. ბეატრიჩეს ფიქრებში დანტეს ცოლ-შვილი ერთიან ავიწყდებოდა; ტასომ რამდენიმე ხანი საგიჟეთში გაატარა, რადგან უიმედოდ უყვარდა ჰერცოგინია ფერრარისა.

ვოლტერს ცოლი არასოდეს ჰყოლია, მაგრამ ხან m-lle დე-ნოიე შეუყვარდებოდა ხოლმე, ხან ქ-ნი დევილლარი, ხან რიპოლმონდი და ხან დე-შატელე. ქალებს ვოლტერი სულ არა სცემდა პატივს და ამბობდა ხოლმე, რომ დედაკაცი ბანკის ბილეთსა ჰგავს, რომელიც ხან იწევს ფასში და ხან იქვეითებსო. ბანკის პატრონების თანამდებობას ლიტერატორები ასრულებენო. მას შემდეგ საფრანგეთის ლიტერატორებს მართლაც ასეთ „ბანკის პატრონებად“ მიაჩნიათ თავი და საზოგადოების მითქმა-მოთქმის ბირჟაზედ ხან ცამდე აიყვანენ ხოლმე და ხან შეუწყალებლად ძირს დასცემენ რომელსამე ლამაზს ქალს.

## დეპეშა

11 აპრილი

ჩარჯუი. თურქესტანის გენერალ-გუბერნატორმა უბრძანა ამუ-დარიის ფლოტილიას, რომელშიაც ითვლება გემები «მეფე», „დედოფალი“ „პეტერბურგი“ და „მოსკოვი“, რომ შეაიარაღეთ გემები, რათა წესიერი ნაოსნობა გაიმართოს პეტრო-ალექსანდროვსკსა, ჩარჟუისა და კერკს შორისაო.

ბელგრადი. სკუპშჩინამ დაავალა მთავრობას, რომ შეიარაღებისათვის თორმეტის წლის განმავლობაში ათი მილიონი დაჰხარჯეთ და ეს ფული კი შევსებულ იქმნება გარდასახადთა 6% მომატებითაო.

„Одьекъ“-ი იუწყება, რომ ის კომისია, რომელსაც სხვა-და-სხვა ყაიდის თოფის შესწავლა აქვს მინდობილი, დღეს რუსეთს მიდისო.

ვენა. ტეშემვარის რაზმში დიდი მზადებაა და უნდათ იდღესასწაულონ ოც-და-ხუთის წლის შესრულება მას შემდეგ, რა ხელმწიფე იმპერატორი ამ რაზმის შეფად ითვლება.

დღეს აქ მობრძანდა მეუღლე სპარსეთის შაჰისა.

ვილჰელმსგოფენი. იმპერატორი ვილჰელმი მოლტკესთან ერთად ოლდენბურგს წავიდა.

დარმშტადტი. დღეს აქ მობრძანდა ინგლისის დედოფალი.

12 აპრილი

პეტერბურგი. აზნაურობამ დონის ოლქისამ უქვეშევრდომილესის ადრესით გამოუცხადა ხელმწიფე იმპერატორს თვისნი უქვეშევრდომილესნი გრძნობანი მოწყალებათა გამო, რომელნიც ხელმწიფე იმპერატორმა მოიღო აზნაურობაზე როგორც თვისის ნდობით, აგრეთვე მის კეთილდღეობის ამაღლებით. მისმა უდიდებულესობამ, მოისმინა რა განუსაზღვრელი ერთგულება და სიყვარული წარჩინებულთა დონის აზნაურთა, ბრძანა გამოუცხადეთ დონელებს უმაღლესი მადლობაო.

გუშინ გაიხსნა კრებები საბეითალო კომიტეტისა, რომელმაც უნდა განიხილოს წესნი და პირობანი საკლავის გადაყვან-გადმოყვანისა და აგრეთვე პროექტი დიფერენციალურ ხარჯისა, რომელიც უნდა აიღონ გზებმა პირუტყვზე.

გუშინ რუსეთის მრეწველობის დამხმარებელ საზოგადოებაში კომიტეტის წევრმა მეცმა ილაპარაკა შესახებ იმ ზარალისა, რომელიც მოსდევს რუსეთში მოქმედებს ამერიკანელ სიცოცხლის დამზღვევ საზოგადოებათა „ნიუ-იორკისას“ და „ეკვიტებლისას“. მეცმა სთხოვა საზოგადოებას იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ უფლება აღარ ჰქონდეთ მოქმედებისა რუსეთში ამ გვარ საზღვარ-გარეთელ საზოგადოებათა ერთობ და მეტადრე „ნიუ-ორკსა“ და «ეკვიტებლს» კერძოდ. მოხსენება მეცისა დიდის თანაგრძნობით მოისმინა მრავალმა მსმენელმა.

„С.-Пб. Вѣд.“-ებს შეუტყვია, რომ სახელმწიფო საბჭოში უკვე წარდგენილია პროექტი საიპოტეკო წესდებისა. წესდება საიპოტეკო სიგელებისა შემოღებული იქნება მთელს სახელმწიფოში, ცოტაოდენის ცვლილებით იმ ქვეყნებისთვის, სადაც ჯერ არ არის შემოღებული მოქმედება ახალის სასამართლო წესდებისა.

რომი. სამინისტრომ პრინციპიალურად გადასწყვიტა შეუდგეს ხარჯის შემცირებას ჯარისა და ფლოტის საქმეებში.

ბრიუსელი. კაროლმა ინება გარდასცეს ბელგიას პროტექტორატი აფრიკის სახელმწიფოსი, კონგოსი. ეს პროტექტორატი დღემდე ეკუთვნოდა ბელგიის კაროლს.

პეტერბურგის ბირჟა, 10 აპრილი.

| | მყიდველნისა. | გამყიდველნისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — „ | „ | 7 29 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | „ | 145 1/4 |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 07 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგებიანი ბილეთი . . . . . | 228 | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 215 1/2 |
| —მესამისა . . . . | — „ | — „ | $215_{37}$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | — „ | — „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრ. სტეს აქეთ ჩყჟ (1890) წელიწადი. ქვეყნის შექმნიდამ 7398.
ძველი ინდიქტიონი მე-14
ახალი ქორონიკონი—უპბ=482 წელიწადი. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4.
ამისი ქორონიკონი მე-46 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1890 წლის ზედნადებია—17.

აპრილი 30 დღით არის

13 დღე პარასკევი. ქართვ. წმ. მღვდელ-მოწამისა არტემონისა. კათოლ. წმ. გერმოგილდის და იდასი. სომხ. 13 დღე აღდგომის შემდეგ. მზე ამოდ. 5—5, ჩ. 6—52. ქუშ. შუად. 11—57. მთ. 6 დ.

14 დღე შაბათი. ქართვ. წმიდათა მამისა მარტინე, რომთა პაპისა. კათოლ. წმ. ვალერიანისა და მაქსიმესი. სომხ. 14 დღე აღდგომის შემდეგ. დაბადება მ. უ. ნიკოლოზ მიხეილის ძისა 1859 წ. მზე ამოდ. 5—3 ჩ. 6—53. ქუშ. შუად. 11—57. მთ. 7 დ.

15 დღე კვირა. ქართვ. წმ. მოწამეთა არისტარხო, პუდი და ტროფიმესი; წმ. მოწამეთა სუხიასი და მოყვასთა მისთა ქართველთა პირველ საუკუნის ბოლოში. კათოლ. წმ. კრესცენცია და ანასტასიასი. სომხ. 15 დღე აღდგომის შემდეგ. ხსოვნა იოანე ნათლის-მცემლის თავის კვეთისა. მზე ამოდ. 5—2, ჩ. 6—54. ქუშ. შუად. 11—57. მთ. 8 დღისა.

16 დღე ორშაბათი. ქართვ. წმ. მოწამეთა აღაპია, ირინა და ქიონისა. კათოლ. წმ. კალიქსტასი და ლამბერტისა. სომხ. 16 დღე აღდგომის შემდეგ. მზე. ამოდ. 9—1. ჩ. 6—55. ქუშ. შუად. 11—57. მთ. 5 დღისაა.

## განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

ისტორია მართლ-მადიდებელ ეკკლესიისა,

შედგენილი მოსე ჯანაშვილის-მიერ.

ფასი წიგნისა 40 კაპ.

(10—4)

გამოვიდა და ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

### გორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. ვ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება „უბის წიგნი 1890 წლისათვის“ შედგენილი და გამოცემული ვალ. გუნიას მიერ

ფასი 40 კაპ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# ივერია

1890 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით . . . | 10 მ. —კ. | 6 თვით . . . | 6 მ. —კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 „ . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 „ . . . | 4 „ 70 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 „ . . . | 2 „ 50 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 „ . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქცია'ს ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

### კოკორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ,

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეკზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Карванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

### დედა ენა და ბუნების კარი

გამოცემული „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ.

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, გამოცემა მეშვიდე. ფასი ექვსი შაური.

ვინც ერთბაშად ნაღდს ფულზე იყიდის ოც-და-ათს ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად.

ყდისათვის ყოველს წიგნზედ დაემატება ორი შაური. ხოლო ვინც ოც-და-ათს ან მეტს, ყდიანს „დედა ენას“ წაიღებს, თითო წიგნის ყდაში გამოერთმევა მხოლოდ რვა კაპეიკი.

„ბუნების კარი“, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასებში სახმარებელი, მეექვსე გამოცემა. ფასი თხუთმეტი შაური.

ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალს, წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად, ვინც ოცსა—ცამეტ შაურად და ვინც ოც-და-ათს—სამ აბაზად. ყდისა უნდა დაემატოს თითო წიგნზედ სამი შაური.

ვინც ტფილისს გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა დაიბარონ:

Тифлисъ. Въ книжный магазинъ Общества грамотности Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.

Доз. ценз. Тифлисъ, 12-го Апрѣля 1890 г. Типо-Литографія К. I. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე